კოლეჯი ცხუმ-ეგრისი

2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

სტრატეგიული მიზანი N სტრატეგიული მიზანი N1 ორგანიზაციული განვითარება ამოცანა		
სტრატეგიული ამოცანა	1.1. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამატება	შენიშვნა
აქტივობები	2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, დამატება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 3 ამოცანის ფარგლებში 5 აქტივობის განხორციელება.	
ინდიკატორი	დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქთნო საქმე“	
განხორციელების პერიოდი	სასწავლო წლის მეორე ნახევარი	
შესრულების შედეგი	კოლეჯის მიერ დაიგეგმა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება.ამ მიმართულებით საქთნო საქმის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი აქტივობები. კერძოდ, მოძიებულ იქნა სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები , რომლის საფუძველზე შემუშავდა მიზანშეწონილობის დოკუმენტი და შემუშავდა ახალი პროგრამა, დადგენილ ვადაში ცენტრში წარდგენილ იქნა განაცხადი პროგრამის დამატების მიზნით.	
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	
სტრატეგიული ამოცანა	1.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადება- გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება/განხორციელება.	
აქტივობები	ავტორიზებული პროფესიული პროგრამების ფარგლებში კოლეჯის მიერ იდენტიფიცირდა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები და ცენტრში წარდგენილ იქნა განაცხადი სამი პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების დადასტურების მიზნით.	
ინდიკატორი	დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები: • გერიატრიული ასისტენტი; • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა; • სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში	

განხორციელების პერიოდი	სასწავლო წლის მეორე ნახევარი	
შესრულების შედეგი	ავტორიზებული პროფესიული პროგრამების ფარგლებში კოლეჯის მიერ იდენტიფიცირდა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები და ცენტრში წარდგენილ იქნა განაცხადი სამი პროფესიული მომზადებსა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების დადასტურების მიზნით.	
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	
სტრატეგიული ამოცანა	1.3. პარტნიორობის გაღრმავება კოლეჯის პროფილის სფეროში მოღვაწე პროფესიულ ასოციაციებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.	
აქტივობები	გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან პროგრამა საექთნო საქმე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით:	
ინდიკატორი	დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამა	
განხორციელების პერიოდი	სასწავლო წლის მეორე ნახევარი	
შესრულების შედეგი	გაფორმდა ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან პროგრამა საექთნო საქმე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით: ❖ ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი; ❖ შპს მრავალპროფილური კლინიკა ნლი; ❖ სენაკის ფსიქიატრიული კლინიკა; ❖ ქუთაისის სამედიცინო ცენტრი. პროგრამა ‘აღმაზრდელი“-პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით: ❖ საბავშვო ბაღი „წითელქუდა“. ❖ ზუგდიდის N 15 საბავშვო ბაღი.	
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	
სტრატეგიული ამოცანა	**ამოცანა N 2. პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა**	

აქტივობები	ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მოდულის განმახორციელებლების მიერ სისტემატიურად ხორციელდება კალენდარული გეგმების შემუშავება. ერთწლიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (ელექტროობა, ინფორმაციის ტექნოლოგია) ყველა მოდულისთვის შემუშავებულია კალენდარული გეგმები და მოდულის დაწყებამდე მიმდინარეობს მათი გადახედვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელთა სასწავლო ციკლი ჯერ არ დასრულებულა (ფარმაცია (სააფთიაქო) ,აღმზრდელი) კალენდარული გეგმები შემუშავებულია მიმდინარე და განვლილი მოდულებისთვის. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და გადახედვა მიმდინარეობდა მუდმივ რეჟიმში. მოდულის განმახორციელებლები რეგულარულად ახორციელებდნენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას და ასევე უკვე შემუშავებული ინსტრუმენტების გადახედვასა და მათში ცვლილებების განხორციელებას. საანგარიშო პერიოდში მოდულებისთვის განახლდა შეფასების ინსტრუმენტები. მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტი თანხმდება სხვა პროგრამის ხელმძღვანელთან, ,რომლებიც წარმოადგენს შემმოწმებელას. საანგარიშო პერიოდში, მოდულების თეორიული ნაწილი ონლაინ რეჟიმში, Googl meet –ის პლატფორმის მეშვეობით მიმდინარეობდა, ხოლო მოდულების პრაქტიკული კომპონენტი და შეფასებები ხორციელდებოდა კოლეჯში. თითოეული მოდულის ფარგლებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ხორციელდებოდა მონიტორინგი. მოდულების ონლაინ ნაწილის მონიტორინგი მიმდინარეობდა უშუალოდ ლექციის მიმდინარეობისას . საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარების შევსება. პრაქტიკის ობიექტებზე მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა სასწავლო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი. ასევე, მონიტორინგში ჩართულნი იყვნენ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელები.	
ინდიკატორი	კალენდარული გეგმები, ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენეტები, ;საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარები	
შესრულების შედეგი	2021-2022 სასწავლო წელი	

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	

სტრატეგიული ამოცანა	2.1.2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლების ხარისხის მონიტორინგი
აქტივობები	პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და გადახედვა მიმდინარეობდა მუდმივ რეჟიმში. მოდულის განმახორციელებლები რეგულარულად ახორციელებდნენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას და ასევე უკვე შემუშავებული ინსტრუმენტების გადახედვასა და მათში ცვლილებების განხორციელებას. საანგარიშო პერიოდში პროგრამებისათვის განახლდა შეფასების ინსტრუმენტები. პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურებამდე პროგრამის განმახორციელებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტი თანხმდება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს. საანგარიშო პერიოდში, პროგრამების თეორიული ნაწილი ონლაინ რეჟიმში, Googl meet –ის პლატფორმის მეშვეობით მიმდინარეობდა, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი და შეფასებები ხორციელდებოდა კოლეჯში. თითოეული პროგრამის ფარგლებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ხორციელდებოდა მონიტორინგი. მოდულების ონლაინ ნაწილის მონიტორინგი მიმდინარეობდა უშუალოდ ლექციის მიმდინარეობისას.
ინდიკატორი	პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები
განხორციელების პერიოდი	მიმდინარე სასწავლო წელი
შესრულების შედეგი	სრულად შესრულდა
სტრატეგიული ამოცანა	2.1.3. შეფასების სისტემის მონიტორინგი/ვერიფიკაცია
აქტივობები	პროგრამების მიხედვით, ვერიფიკაციის ჯგუფების ჩამოყალიბება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას. დირექტორის ბრძანებით, ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დამტკიცებულია ვერიფიკაციის ჯგუფები. ვერიფიკაციის ჯგუფებს და ჯგუფის თითოეულ წევრს დავალებული ჰქონდათ 2022 წლის 30 ივლისის ჩათვლით ვერიფიკაციის დასკვნების შემუშავება და წარდგენა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ვერიფიკაციის ოთხი დასკვნის შემუშავება.დასკვნების საფუძველზე შემუშავდა ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც მოიცავს გაცემულ რეკომენდაციებს. ვერიფიკაციის ანგარიში დირექტორს წარედგინა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათით (10.08.2022).
ინდიკატორი	დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის ჯგუფები
განხორციელების პერიოდი	წლის მეორე ნახევარი
შესრულების შედეგი	სრულიად შესრულდა

სტრატეგიული ამოცანა	პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელი პირების/ინსტრუქტორების, პროფესიული სტუდენტების და სხვა პირთა გამოკითხვა
აქტივობები	აღნიშნული აქტივობის ფარგლებში განხორციელება პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელი პირების და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა. გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულად Google Forms-ის მეშვეობით და კვლევაში მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის ტექნოლოგიის, ელექტროობის, ფარმაცია (სააფთიაქო) , აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 47-მა პროფესიულმა სტუდენტმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა.
ინდიკატორი	პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები და ანგარიში
განხორციელების პერიოდი	მომდინარე სასწავლო წელი
შესრულების შედეგი	შესრულებულია
სტრატეგიული ამოცანა	კურსდამთავრებულთა კვლევის ორგანიზება და ჩატარება
აქტივობები	კურსდამრთავრებულთა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას. გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულად - Google Forms-ის მეშვეობით და კვლევაში მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის ტექნოლოგიის, ელექტროობისა და საფინანსო სერვისების პროგრამების კურსდამთავრებულებმა. გამოკითხვიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა კურსდამრთავრებულთა კვლევის ანგარიში, რომელიც დირექტორს წარედგინა სამსახურებრივი ბარათით
ინდიკატორი	კვლევის შედეგები
განხორციელების პერიოდი	წლის მეორე ნახევარი
შესრულების შედეგი	შესრულებულია
სტრატეგიული ამოცანა	ადმინისტრაციის თანამშრომელთა კმაყოფილების, საჭიროებების კვლევა
აქტივობები	გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულად - Google Forms-ის მეშვეობით და კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციის თანამშრომლებმა . კვლევა განხორციელდა ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად.
ინდიკატორი	კვლევის კითხვარები
განხორციელების პერიოდი	მიმდინარე წელი
შესრულების შედეგი	შესრულებულია
სტრატეგიული ამოცანა	ამოცანა N 3. კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსების განვითარება

აქტივობები	კოლეჯის ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე "კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში". ტრენინგს კოლეჯის მხრიდან ესწრებოდა საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლები. ტრენინგი ჩატარდება ონლაინ პლატფორმა Guugl-Meet -ის საშუალებით / ჩატარდა ტრენინგი თემაზე:: MS PowerPoint-ის ფუნქციონალები. ტრენინგის მიზანი იყო მასწავლებლების მიერ MS PowerPoint-ის ინსტრუმენტებისა და ფუნქციონალების გამოყენებით თანამედროვე ტიპის პრეზენტაციის აწყობა- გამოყენების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება / ტრენინგი : „პირველი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება", კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის/ ტრენინგი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით. კოლეჯი, თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს საკუთარი თანამშრომლებისათვის შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნას. ამ მიზნით, კოლეჯში დასაქმებულ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია შრომის დაცვის წესების შესახებ ხანძრის დროს.
ინდიკატორი	ტრენინგის ამსახველი მასალები
განხორციელების პერიოდი	მიმდინარე სასწავლო წელი
შესრულების შედეგი	შესრულებულია

სტრატეგიული ამოცანა	კოლეჯის შინაგანაწესისა და სხვა მარეგულირებელი აქტების გაცნობა / გადახედვა სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით.
აქტივობები	სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეგულაციების სისტემატიური გადახედვა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას, რაც რეგულარულად მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა შემდეგი რეგულაციები: • პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ცვლილებებით; • ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი; • სამუშაო აღწერის დოკუმენტი (დამტკიცდა განახლებული ფორმით); • კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისის საგანგებო მართვის გეგმა.
ინდიკატორი	დირექტორის მიერ დამტკიცებული აქტები
განხორციელების პერიოდი	სასწავლო წელი
შესრულების შედეგი	შესრულებულია
სტრატეგიული ამოცანა	3.1.2.საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება კორპორატიული კულტურის განვითარების მიზნით
აქტივობები	ადმინისტრაციული,პროფესიული მასწავლებლებისთვის,პროფესიული სტუდენტებისთვის კორპორატიულ ი ელ. ფოსტის შექმნა.
ინდიკატორი	კორპორატიული ელ. ფოსტა ადმინისტრაციისათვის

განხორციელების პერიოდი	სასწავლო წელი
შესრულების შედეგი	შესრულდა ნაწილობრივ
სტრატეგიული მიზანი 3.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება
ამოცანა	3.1.1.ოფიციალური ვებ- გვერდის /სოციალურ ქსელში არსებული გვერდის მუდმივად განახლება კომპიუტერული ინვენტარის განახლება/მატერიალური რესურსების განვითარება/საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება
აქტივობები	საანგარიშო პერიოდში, ვებგვერდზე სისტემატიურად ხორციელდებოდა სიახლეებისა და პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე აქტუალური საკითხების შესახებ ინფორმაციის განთავსება, რაც დასტურდება კოლეჯის ვებგვერდით www.ckhum.edu.ge. სოციალურ ქსელში დაიწყო პოსტერების სახით ორი ახალი რუბრიკა : “ ცხუმ-ეგრისის წარმატებული სტუდენტი“; „ვარ ცხუმ-ეგრისის კურსდამთავრებული ! ვამაყობ ჩემი პროფესიით“,რომელიც პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შესახებ საინტერესო ინფორმაციებს მოიცავს. აქტიურად მიმდინარეობდა პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე აქტუალური საკითხებისა და ყველა სიახლის ვებგვერდზე და სოციალურ პლატფორმაზე გამოქვეყნება, სოციალურ ქსელში ასევე განთავსდა ექსკურსიებისა და სხვადასხვა ექსტრაკურიკულური აქტივობების შესახებ ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში ასევე გასწორდა ვებგვერდზე არსებული ტექნიკური ხარვეზი.განახლდა და შივსო საბიბლიოთეკო ფონდი. განხორციელდა ტექნიკის სისტემური და პროგრამული განახლება,მოწესრიგდა პერიფერიული მოწყობილობები. შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები. განხორციელდა ფართის აღჭურვა სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ინვენტარით და შესაბამისი ორგანოს მიერ გაიცა დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოების დამადასტურებელი დიკუმენტი.
ინდიკატორი	კოლეჯის ვებგვერდი , „ფეისბუქი“, კომპიტერული ტექნიკის შესყიდვის აქტები, კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების აქტი.
განხორციელების პერიოდი	სასწავლო წელი
შესრულების შედეგი	შესრულებულია